სახელმწიფო შესყიდვისშესახებ

ხელშეკრულება #-81

ქ. ნინოწმინდა **04 ივლისი 2019წ**

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი'')) მისი მერის , ანივარდ მოსოიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მეეკი" (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის პეტროს ნანაიანის სახით, ვხელმძღვანლობთ რა, „ნავთოპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესის და დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის # 11 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 ქვეპუნქტის თანახმად, , ნავთოპროდუქციის (საწვავის) 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON180000031) დოკუმენტაციის 5.15 პუნქტის შესაბამისად და კონსოლიდირებული ტენდერების მოდულში #21246 ნებართვის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაშიგამოყენებულტერმინებსაქვთშემდეგიმნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულებასახელმწიფოშესყიდვისშესახებ" (შემდგომში_"ხელშეკრულება") _ შემსყიდველორგანიზაციასადამომწოდებელსშორისდადებულიხელშეკრულება, რომელიცხელმოწერილიამხარეთამიერ, მასზეთანდართულიყველადოკუმენტით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლრბზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" – ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს (საქონლის მოწოდებას) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6.,, საქონელი'' – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამარტივებული შესყიდვით შესყიდვის საგანს წარმოადგენს: 1830 (ათას რვას სამოცდაათი) ლიტრი. 95 ოქტანობის საწვავის შემენა (CPV09100000). ერთი ლიტრი არა ნაკლები 95 ოქტანობის საწვავის ღირებულება - 2,35 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხლშეკრულების ღირებულება შეადგენს 4300,50 (ოთხიათს სამას ლარი 50 თეთრი) ლარს. მომწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებისთ გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4. ინსპექტირებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული ფიზიკურად შესრულებული სამუშაოს, მომსახურების და საქონლის შესყიდვის ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი – რომელიც შექმნილია მერის ბრძანების საფუძველზე.

6. შესასრულებელი (საქონლის) გაწევის პირობები

6.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულბის გაფორმებიდან 2019 წლის 31 ივლისამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის საქონლის მიღება–ჩაბარება მოხდება აქტის გაფორმების შემდეგ .

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება

8.3. საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11. სუბკონტრაქტორები

11.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტალურად დაუდასტურებელი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების **0,02%–ის** ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების **ღირებულების 3 %–ს,** მხარეებსაქვთუფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

21. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

21.1. შესიდვის საქონელის მიწოდების ვადა 2019 წლის 31 ივლისამდე.

21.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილია ქ. ნინოწმინდა.

22. სხვა პირობები

22.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

22.2. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

22.4. ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 04 ივლისიდან 2019 წლის. 04 სექტემბრამდე.

23. ხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43
ს/ს ,,ლიბერთი ბანკის'' ნინოწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE51LB0120146252122000
ს/კოდი 236689669

Anivard Mosoyan

Digitally signed by Anivard Mosoyan
Date: 2019.07.04 11:33:29 +04'00'

ა.მოსოიან

მომწოდებელი:

შპს „მეეკი“
მის: ქ. ნინოწმინდა, სოფ. სათხა

ბანკის კოდიBAGAGE22
ა/ნ GE39BG0000000186505500
ს/კოდი 236684469

_____

პ.ნანაიან

LTD Meeki

Подписано цифровой подписью: LTD Meeki
Дата: 2019.07.04 13:09:25 +04'00'